ხელშეკრულება # 16

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. საგარეჯო 16 მაისი 2019 წელი

1.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება“ (შემდგომ –„ხელშეკრულება“) - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

2.1 ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების სახით(შემდგომში წოდებული როგორც „შემსყიდველი“, მეორეს მხრივ შპს „ორბიტა ა და ზ“ სახით (შემდგომში წოდებული როგორც „მიმწოდებელი“) ვხელმძღვანელობთ რა მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინანმდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

ლებელი

3. ხელშეკრულების საგანი და ობიექტივი

3.1 ხელშეკრულების საგანია: ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანებისათვის ერთჯერადი ხელთათმანები (კოდი 18424300); პოლიეთილენის ნარჩენი და ტომრები და ჩანთები ნარჩენებისთვის (კოდი 19640000); კალმები (კოდი 30192122); ტუალეტის ქაღალდი, ქაღალდის ცხვირსახოცები, პირსახოცები და ხელსახოცები (კოდი 33760000); სამზარეულოს მოწყობილობები, საოჯახო ნივთები და სურსათის მარაგი(კოდი 39220000); ნაირგვარი ქსოვილის ნივთები(კოდი 39525000); გამაცხელებლები(კოდი 39711440); საწმენდი საშუალებები/პროდუქტები (კოდი 39830000); ტუალეტის ქაღალდის მოსახევი აპარატი (კოდი 42968300); კარის საკეტები(კოდი44521110);

ჩაქუჩები(კოდი 44512300); შესყიდვა გამარტივებული შესყდვის საშუალებით, თანახმად საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10 მუხლის მე-3 პუნქტს და სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

4. ხელშეკრულების ღირებულებაზე

4.1 მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 380(სამას ოთხმოცი) ლარი 80(ოთხმოცი) თეთრი.

4.1.1, ხელთათმანები (კოდი 18424300) – 5(ხუთი) ლარი;
4.1.2. პოლიეთილენის ნარჩენი და ტომრები და ჩანთები ნარჩენებისთვის (კოდი 19640000);- 30(ოცდაათი) ლარი 20 (ოცი) თეთრი;
4.1.3. კალმები (კოდი 30192122)-0(ნული) ლარი 70(სამოცდაათი) თეთრი;
4.1.4. ტუალეტის ქაღალდი, ქაღალდის ცხვირსახოცები, პირსახოცები და ხელსახოცები (კოდი 33760000)- 102(ას ოცი) ლარი 60(სამოცი) თეთრი;
4.1.5. სამზარეულოს მოწყობილობები, საოჯახო ნივთები და სურსათის მარაგი(კოდი 39220000)– 95 (ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი 20 (ოცი) თეთრი;
4.1.6. ნაირგვარი ქსოვილის ნივთები(კოდი 39525000)– 35(ოცდათხუთმეტი) ლარი 20 (ოცი) თეთრი;
4.1.7. გამაცხელებლები(კოდი 39711440)-40(ორმოცი) ლარი;
4.1.8. საწმენდი საშუალებები/პროდუქტები (კოდი 39830000) – 23(ოცდასამი) ლარი 40(ორმოცი) თეთრი;
4.1.9. ტუალეტის ქაღალდის მოსახევი აპარატი (კოდი 42968300)-20(ოცი) ლარი;
4.1.10. კარის საკეტები(კოდი44521110)-22(ოცი) ლარი;
4.1.11. ჩაქუჩები(კოდი 44512300)-6 (ექვსი) ლარი 50(ორმოცდაათი) თეთრი;
4.2. საქონელი მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ.საგარეჯო ერეკლე მეორის ქუჩა #19.
4.3. საქონელის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 2019 წლის 30 მაისამდე;

5. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

5.1 ,,მიმწოდებელი“ პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ვარგისიანობაზე და დროულობაზე.
5.2. ,,შემსყიდველი“ ორგანიზაცია ვალდებულია ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულ;ებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.
5.3 ,,შემსყიდველი“ არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
5.4 ,,შემსყიდველი“ არ აგებს პასუხს მიმწოდებლისმიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. „შემსყიდველის“ წერილობითი ან სიტყვიერი მოთხოვნის საფუძველზე, „მიმწოდებელი“ ვალდებულია მოთხოვნიდან 7 დღის ვადაში უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ა(ა)იპ ,,საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანებისათვის 4.2 ქვეპუნქტში მითითებულ მისამართზე. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლისმიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების მთავარმა ბუხჰალტერმა ნინო ქურხულმა.

8. მიწოდებული საქონლის (გასაწევი მომსახურების) ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება მოხმარებისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს უვარგისი საქონლის შეცვლა.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწოება მოხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და საგადასახადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში:

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ნაღდი). გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის (გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის) გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის - 398 -ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის უცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულებების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს- მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ

არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინებაასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოინახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებლები იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.

15.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე , რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით

ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (არ გამოიყენება)

17.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადას;

17.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობის შესაბამისი საბანკო გარანტია. გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო;

17.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

18. დავების გადაწყვეტის წესი

18.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

18.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებიმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

19. სხვა პირობები

19.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ივნისამდე. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

20. მხარეთა რეკვიზიტები და ხელსაწყოები

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება

ს/კ 438109468 ანგ №GE24 NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22
საგარეჯო ერეკლე მეორის ქ #19
ელ. ფოსტა: tjabadari@gmail.com
გაერთიანების დირექტორი: თამარ ჯაბადარი

SAGAREJO UNION OF OUT OF SCHOOL INSTITUTIONS
Digitally signed by SAGAREJO UNION OF OUT OF SCHOOL INSTITUTIONS
Date: 2019.05.20 09:42:22 +04'00'

შპს ,,ორბიტა ა და ზ“
ს/კ 438107745 ანგ # GE61LB0113163208245000
სს ლიბერთი ბანკი LBRTGE22
საგარეჯო ერეკლე მეორის ქ.# 53
ელ.ფოსტა: Soso.darispani@gmail.com
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ავთანდილ დავითაშვილი